პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 139 (1309) ○ ხუთშაბათი, 20 ნოემბერი, ○ გამოცემის მე-15 წელი. ○ ფასი 30 კაპ.

გუშინ საბჭოთა კავშირის მშრომელებმა აღნიშნეს არტილერიის დღე-ბლიოთეკა

დიდება მამაც არტილერისტებს, საბჭოთა არმიის სიამაყეს!

ცხენბურთი

ფოტო ვ. სემიონოვისა.



აქ აღბეჭდილია საქართველოს II სპარტაკიადის სამკერდე ნიშნების ესკიზები, რომლებიც ჩვენი გაზეთის კონკურსზე წარმოადგინა მხატვარმა

გ. იაშვილმა

საქართველოს მშრომელები იწონებენ ნოემბრის პლენუმის დადგენილებას

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მხურვალედ იწონებენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959–1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს. საქართველოს საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში მაღალი პოლიტიკური აღმავლობით მიმდინარეობს ხალხმრავალი კრებები, რომლებიც მიძღვნილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ნოემბრის პლენუმის მასალებისადმი.

დიდი მოწონებით შეხვდა ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს რესპუბლიკის უდიდესი საწარმოს — კიროვის სახელობის თბილისის ჩარხსამშენებლო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი. საწარმოს 60-ზე მეტი აგიტატორი მათ აცნობს პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს. ქარხნის მოწინავე მუშებმა შიგამჩარხავმა გ. ქურიძემ, მხერხავმა გ. მეფარიშვილმა, ზეინკალმა თ. ანდრიაძემ და სხვებმა, რომლებიც პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე დგანან, მტკიცედ გადაწყვიტეს კიდევ უფრო ენერგიულად იშრომონ, გადაჭარბებით შეასრულონ საწარმოო გეგმები. ასევე დიდი ინტერესი გამოიწვია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებმა თბილისის საორთქლმავლო დეპოს, თბილისის ელექტრომავალსამშენებლო ქარხნის მუშებში, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდნენ ჩვენი მშობლიური პარტიის XXI ყრილობას.

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადემ გ. ბერეკაშვილმა განაცხადა: „ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959–1965 წლების გეგმა, რომელსაც განიხილავს პარტიის XXI ყრილობა, უდიდესი მოვლენა იქნება ჩვენი ქვეყნის ხალხის ცხოვრებაში. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში მკაფიოდ არის მოცემული ის, თუ რა სწრაფი ტემპით წავა წინ ჩვენი ქვეყანა უახლოეს პერიოდში“.

საქართველოს სკოლებში დიდი ინტერესით ეცნობიან „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თეზისებს.

რესპუბლიკის სკოლების მუშაკები ეთრსულოვნად იწონებენ ამ მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელიც აამაღლებს სკოლის როლს ახალგაზრდობის განათლებასა და აღზრდაში, უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგისათვის, დიდებული აღმშენებლობითი გეგმების განხორციელებისათვის სსრ კავშირში გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდში.

რესპუბლიკურ კომიტეტში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა: ბაიდარით ნიჩბოსნობაში — ა. მატკავას, გ. ბაიდანოვს, ნ. ბაიდანოვს (სამივე ფოთი, „ვოდნიკი“), შ. ჭედიას (ფოთი, „განთიადი“), მ. ბუზიაშვილს, ა. ბერიძეს, ნ. გიგაურს, ზ. მაჩხანელს, ვ. ფირალოვს (ყველა მცხეთიდან, „განთიადი“), თ. როსტომაშვილს (მცხეთა, „ბურევესტნიკი“), კ. ნასყიდაშვილს (მცხეთა, „ლოკომოტივი“), ლ. ალხაზოვს (ბათუმი, „განთიადი“); კანოეთი ნიჩბოსნობაში — ს. ხამხაძეს და დ. ერაზმაძეს (ორივე მცხეთა, „განთიადი“); ტყვიით სროლაში — დ. ბილიევს (თეთრი წყარო, „დინამო“), ა. რაჩკინს (სოხუმი, „დინამო“).

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა: ტანვარჯიშში — გ. გაბიტაშვილს (თბილისი, „განთიადი“), მძლეოსნობაში — ე. ბიაშვილს (სოხუმი, „ბურევესტნიკი“), ფრენბურთში — ე. სანთელაძეს და თ. ყანჩაველს (ორივე თბილისი, „ბურევესტნიკი“), მაგიდის ჩოგბურთში — გ. არუთინოვს (თბილისი, „სპარტაკი“), ჭიდაობა სამბოში — ი. ტლაშაძეს (თბილისი, „შრომითი რეზერვები“).

ვინ გადავა „ა“ კლასში

შედგა ბოლო ტურის მატჩები „ბ“ კლასის საუკეთესო ფეხბურთელთა გუნდების ტურნირში. მაგრამ უკანასკნელი შეხვედრები ჰქონდათ მათ, ვის ქულებსაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს გათამაშებისათვის — ისინი მაინც „ბ“ კლასში რჩებიან. მატჩი, რომელიც გადაწყვეტს პირველი ადგილის ბედს — წინაა.

მიუხედავად ამისა, „ბ“ კლასში მეორე წელს დარჩენილები სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ ლიდერებს. ასე იყო, მაგალითად, როსტოვისა და ოდესის გუნდების შეხვედრაში. როსტოველთათვის მატჩის მოგება ნიშნავდა კიდევ ერთ ნაბიჯს პირველი ადგილისათვის ბრძოლაში, ხოლო ოდესელთათვის... ფაქტიურად არაფერს.

პირველ ტაიმში ოდესას კარი რამდენიმეჯერ გადარჩა აშკარა ხიფათს და მხოლოდ ერთი შეტევა იქნა დამთავრებული გოლით (ეგოროვი). შესვენების შემდეგ თამაში კარგა ხანს თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, მაგრამ როგორც კი ნახევარმცველმა ჩერტკოვმა გაიტანა მეორე ბურთი და ანგარიში გახდა 2:0, როსტოველებმა მაშინვე დაიხიეს დაცვაში და დროის გაყვანის მიზნით შეუდგნენ ბურთის ზედმეტ გათამაშებას საკუთარ ნახევარზე. ოდესელებმა სწრაფად ისარგებლეს მოწინააღმდეგის ასეთი პასიური ტაქტიკით და მოსკალენკომ ახლო მანძილიდან გაიტანა საპასუხო ბურთი. მაგრამ ოდესელებმა მეტი ვერაფერი შეძლეს. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს როსტოვის არმიელებმა.

(გაგრძელება მე-3 გვ.)

პრიზიორთა ტურნირი

მოსკოვში, „კრილია სოვეტოვის“ სპორტულ დარბაზში ჩატარდა თავისუფალ ჭიდაობაში სსრ კავშირის 1958 წლის პირველობის პრიზიორთა ერთდღიანი ტურნირი, ტურნირის მიზანი იყო სსრ კავშირის ნაკრები გუნდის დაკომპლექტება, რომელიც გაემგზავრება იაპონიაში ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრების ჩასატარებლად.

უმჩატეს წონაში საინტერესოდ წარიმართა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის მ. ცალქალამანიძისა და ჩვენი ქვეყნის 1958 წლის ჩემპიონის გ. საიადოვის შეხვედრა. ქართველმა სპორტსმენმა დგომიდან ჩოქბჯენში გადაიყვანა თავისი მეტოქე. გ. საიადოვის ცდა — დაებრუნებინა დაკარგული ქულა, უშედეგო გამოდგა. მსჯთა კოლეგიამ შეხვედრა ფრედ შეაფასა. ასეთივე შედეგით დამთავრდა მ. ცალქალამანიძისა და ზ. მჭედლიშვილის შეხვედრა. ტურნირში გამარჯვებულის სახელი მოიპოვა მ. ცალქალამანიძემ. მჩატე წონაში საუკეთესო იყო სსრ კავშირის 1958 წლის ჩემპიონი ლენინგრადელი ი. ზამიატინი, ქვემსუბუქში — ნ. მუშეღიანი (ერევანი), მსუბუქში — ლ. კოლესნიკი (ლენინგრადი), ქვესაშუალოში — გ. ნებიერიძე (კიევი). საშუალო წონის მოჭიდავეთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა ორჯონიკიძელი ტ. ძახსოროვი, რომელმაც მოიგო ორი შეხვედრა (გ. გობეჯიშვილთან და გ. სხირტლაძესთან). ქვემძიმე წონაში ყველას აჯობა ბ. კულაევმა, მძიმეში — ს. ძარასოვმა.

საკავშირო ჩემპიონატზე ლვოვში

23 ნოემბერს, ლვოვში იწყება საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები.

საქართველო ჩემპიონატში წარმოდგენილი იქნება ორი გუნდით. პირველი ნაკრების შემადგენლობაშია (სავარაუდოდ): უმჩატესი წონა — ზ. შეყრილაძე, მჩატე წონა — გ. ჩიტიაშვილი და ო. ეგაძე, ქვემსუბუქი წონა — მ. ღუდუშაური და შ. სეფაშვილი, მსუბუქი წონა — ა. ქორიძე და რ. ძნელაძე, ქვესაშუალო წონა — დ. გვანცელაძე, საშუალო წონა — გ. სინაურიძე, ქვემძიმე წონა — რ. აბაშიძე და ა. სიბარულიძე, მძიმე წონა — ო. კანდელაკი. მეორე გუნდის შემადგენლობაში არიან: ჭითავა, შენგელია, გველესიანი, კილასონია და სხვ.

თქვენი გაზეთის საშუალებით

ს. მ. კიროვის სახელობის ლენინგრადის საფეიქრო ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა, ველო და ტურისტული სექციების წევრები გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადასცეთ ფიზკულტურისა და სპორტის თბილისის კომიტეტს, კავკასიაში ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტ-მოლაშქრეთათვის გაწეული დახმარებისა და ყურადღებისათვის.

დოცენტი ა. შეხტელი,

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე.

საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადის წინა ეტაპებისათვის საჭირო ყველა დეტალი ახლავე უნდა მოგვარდეს, დაზუსტდეს!

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



სტუმრებს ღირსეულად დავხვდებით

საუბარი საქ. კპ დუშეთის რაიკომის მდივან ვ. ა. ბურდულთან

დუშეთის რაიონის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს დიდი და საპატიო ამოცანა ხვდათ წილად — მომავალი წლის გაზაფხულზე ჩვენ ბაზებზე უნდა უზრუნველყოთ საქართველოს ზონალური სპარტაკიადის ჩატარება მაღალ დონეზე. დუშეთს ესტუმრებიან ბოლნისის, მცხეთის, დმანისის, გარდაბნის, მარნეულისა და სხვა რაიონების ნაკრები კოლექტივები, რომლებიც გამარჯვებისა და ფინალურ შეხვედრებში მონაწილეობისათვის იბრძოლებენ სპორტის 9 სახეობაში.

ასეთი დიდი ღონისძიება დუშეთში ჯერ არ ჩატარებულა და ეს უფრო ზრდის ჩვენს პასუხისმგებლობას, რადგან ძვირფას სტუმრებს, სპორტულ მეტოქეებს სათანადო დახვედრა უნდა. სპარტაკიადის მაღალ დონეზე ჩატარებაში ძირითად როლს თამაშობს კეთილმოწყობილი სპორტული ბაზები, ამიტომაც მთელი ჩვენი საქმიანობა სწორედ აქეთკენ წარვმართეთ. პარტიის რაიკომის ბიუროზე მოვისმინეთ ზონალური სპარტაკიადისათვის მზადების საკითხი, შევქმენით საორგანიზაციო კომიტეტი მშრომელთა დეპუტატების რაიალმასკომის თავმჯდომარის შ. მწითურის ხელმძღვანელობით, განათლების განყოფილებას, სკოლის დირექციებს, კოლმეურნეობათა გამგეობებს, სარემონტო-ტექნიკურ სადგურსა და სხვა წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს ბიურომ დაავალა აქტიური მონაწილეობა მიიღონ მზადების საქმეში. მართალია, რაიონულ ცენტრში, სადაც ძირითადად გაიმართება შეხვედრები, „გვაქვს ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის მოედნები, სპორტული დარბაზი, საჭიდაო სარბიელი, რომლებიც რაიონის ფიზკულტურულთა მოთხოვნებს ახე თუ ისე აკმაყოფილებენ, მაგრამ ზონალური სპარტაკიადისათვის ცხადია ეს საკმარისი არაა.

განზრახული გვაქვს სტადიონის, მძლეოსნობის უველა სექტორისა და საჭიდაო სარბიელის რეკონსტრუქცია. ყოველგვარი პირობა იქნება შექმნილი მაყურებელთა კეთილმოსახურებისათვისაც. ზონალური სპარტაკიადისათვის მოსამზადებელმა კომიტეტმა ამ მხრივ უკვე მნიშვნელოვანი ღონისძიება გაატარა. ბევრი რამ ჯერ კიდევ გასაკეთებელია როგორც ბაზების რემონტის, ისე სპორტინვენტარის შეძენის საქმეში. განსაკუთრებით განვიცდით ტანვარჯიშული ინვენტარის ნაკლებობას, მაგრამ შეჯიბრებათა დაწყების დღეებისათვის ყველაფერი მზად გვექნება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ სათანადო დახმარება გვესაჭიროება ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტიდანაც.

დავსახეთ სათანადო ღონისძიებანი მეზობელი რაიონების სპორტულ დელეგაციათა ბინებით უზრუნველყოფის, კვების, კულტურული მომსახურებისათვის. ცხადია ჩვენი სასტუმრო ვერ დააკმაყოფილებს ჩამოსულებს. ამიტომ განზრახული გვაქვს პიონერთა ბანაკის 300-ადგილიანი შენობა დავუთმოთ შეჯიბრების მონაწილეებს, მით უმეტეს, იმ დროისათვის ბანაკი ჯერ კიდევ არ იქნება გახსნილი. სტუმრების ნაწილს მოვათავსებთ სკოლებში, კულტურის სახლის ყოფილ შენობაში, სადაც ბარისახოს, მლეთისა და ანანურის სკოლა-ინტერნატებიდან სპეციალურად იქნება გადმოტანილი საწოლები.

სასადილოები, რომლებიც სპორტსმენებს გაუწევენ მომსახურებას, ყაპიტალურად შეკეთდება და მომმარაგდება მაღალხარისხოვანი ინვენტარითა და პროდუქტით.

მონაწილეთათვის წვრთნის ნორმალური პირობების შესაქმნელად, აგრეთვე მათი კულტმომსახურებისათვის დელეგაციებზე გაპიროვნდებიან რაიონის ორგანიზაციები, ტრანსპორტი და ა. შ. თავისუფალ დროს სტუმრებისათვის მოვაწყობთ ექსკურსიებს ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად, ყაჩაღნებთან ანანურის ციხეს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, ვაჟა ფშაველასა და დ. ჭონქაძის სახლ-მუზეუმებს, მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები გამართავენ კონცერტებს.

ზონალურ სპარტაკიადის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის დუშელები უველაფერს გავაკეთებთ. სპორტსმენებს ყოველგვარ პირობებს შეუქმნით აჩვენონ მაღალი შედეგები თუმცა, ცოდვა გამხელილა ხჯობია, შეუცდებით თანატოლთა ბრძოლაში უძლიერესის სახელი მოიპოვონ ჩვენი რაიონის ფიზკულტურელებმა.

შევინარჩუნებთ ტრადიციებს

ჩვენი სკოლის ფიზკულტურული კოლექტივი არც თუ ისე დიდია. იგი სულ 500-მდე მოსწავლეს აერთიანებს, მაგრამ პედკოლექტივის ნაყოფიერი მუშაობის, პირველხარისხოვანი სპორტული ბაზების მეოხებით ესეც საკმარისი აღმოჩნდა, რათა შეგვექმნა ძლიერი გუნდები. ჩვენმა მოსწავლე სპორტსმენებმა მიმდინარე სეზონში რაიონის პირველობაზე პირველი ადგილები დაიკავეს ფეხბურთსა და კალათბურთში, მეორე ადგილზე გამოვიდნენ მძლეოსნობასა და ფრენბურთში, ხოლო მოსწავლეთა სარაიონო სპარტაკიადაზე უძლიერესის სახელი დაიმკვიდრეს.

ეს წარმატებები განპირობა შიდასასკოლო ღონისძიებათა რეგულარულად ჩატარებამ. სწავლასა და სპორტში მოწინავეობა წახალისებამ დირექციის მიერ ბავშვები მასობრივად მიიზიდა ფიზკულტურულ საქმიანობაში.

გასულ სასწავლო წელს X და XI კლასების ერთდროულად გამოშვებამ საგრძნობლად შეასუსტა კოლექტივის სიძლიერე. მრავალმა თანრიგოსანმა მიიღო სიმწიფის ატესტატი, მაგრამ რეზერვთან ნაყოფიერი მუშაობით უმოკლეს დროში შევძელით კვლავ შეგვექმნა ძლიერი გუნდები. ახლა ჩვენს სკოლაში რამდენიმე რაიონული ნაკრების წევრია, რომელთა შორის ყველაზე კარგი მაჩვენებლები აქვთ ვ. ნამგალაურს, ნ. მთიულიშვილს, ა. ღარიბაშვილს, ი. გრიგოლაშვილსა და სხვებს.

ახლა, როცა ახლოვდება სარაიონო სპარტაკიადა, ჩვენი სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს შეინარჩუნოს და განამტკიცოს მოპოვებული პოზიციები.

ეკატერინე მოსიაშვილი,
დუშეთის I საშუალო სკოლის დირექტორი.

მოწინავე კოლექტივი

გუნდის ყველა წევრი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კოლექტივმა კარგად არ შეაფასა მოწინააღმდეგეი. ცუდად მოემზადა ფინალური შეხვედრისათვის და ამის გამო სარაიონო გათამაშების პირველ ტურში გამოვიდა მეორე ადგილზე. გახშირდა ვარჯიშების ხანგრძლივობა, ახლა ახალგაზრდები ბურთზე უბრალო დარტყმებით კი აღარ ერთობოდნენ, არამედ სწავლობდნენ მისი მიღების, მიწოდების, ზუსტი დარტყმის ტექნიკას, და როცა შემოდგომაზე მეორე ტური დამთავრდა, დუშეთის კულტსახლის ფრენბურთელებმა დამსახურებულად დიკავეს პირველი ადგილი.

ამ მცირერიცხოვან კოლექტივში მარტო ფრენბურთში როდი ვარჯიშობენ. აქ ყავთ ძლიერი კალათბურთელები და ფეხბურთელებიც, რომელნი სული და გულია აქტივისტები, გუნდის კაპიტანი ლ. კობიაშვილი, მეკარე რ. ცქიმანური, კინომექანიკოსის თანაშემწე გ. დავითური და სხვანი.

ო. აფციაური

მე-2 გვ. № 139 (1309)

საერთო ძალით

1956 წლის ზონალურ სპარტაკიადაზე, რომელიც რუსთავში ჩატარდა, ჩვენი რაიონის ფიზკულტურელებმა პროგრამის 7 სახეობიდან პირველი ადგილი მოიპოვეს ტანვარჯიშში, საპრიზო ადგილებზე გამოვიდნენ ქართულ ჭიდაობაში, ძალოსნობაში, მძლეოსნობაში და მცირე განსხვავებით ჩამორჩნენ პირველ ადგილზე გამოსულ ბოლნისელებს.

ხალხთა II სპარტაკიადის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნებისა და რესპუბლიკური სპარტაკიადის დებულების მიღებისთანავე საქართველოს კპ დუშეთის რაიონულმა კომიტეტმა ბიუროს მსჯელობის საგნად გახადა სპარტაკიადისათვის მზადების საკითხი და დასახა მისი მაღალ დონეზე ჩატარების ღონისძიებანი, ხოლო ფიზკულტურის რაიონულმა კომიტეტმა შეიმუშავა და აქტივს გააცნო სარაიონო სპარტაკიადის დებულება, რომელიც სათანადო შესწორებათა შემდეგ დაეგზავნა ყველა ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივს. გაიშალა მოსამზადებელი მუშაობა.

სარაიონო სპარტაკიადისათვის კარგად ემზადებიან დუშეთის I, მლეთის, ფასანაურის, ჭმადიჯვრის საშუალო სკოლების, ჭილურტისა და მჭადიჯვრის საკოლმეურნეო კულტურის სახლის ძირეული ფიზკულტურული ორგანიზაციები, რომლებმაც უკვე ჩაატარეს თავიანთ შეჯიბრებათა პირველი ეტაპი. მჭადიჯვრისა და ფასანაურის საშუალო სკოლებმა შეიძინეს სპორტული ინვენტარი. გამოცოცხლება დაეტყო ჭოპორტის სკოლის კოლექტივსაც, რომელმაც აგრეთვე შეავსო თავისი მარაგი ინვენტარით. ამ მხრივ ჯერ კიდევ არაფერი გაუკეთებიათ ბაზალეთისა და ჭოპორტის საკოლმეურნეო სარემონტო-ტექნიკური სადგურის, ზოოვეტტექნიკუმის კოლექტივებს, რომლებსაც ბაზების მოწყობის კარგი შესაძლებლობანი გააჩნიათ.

ძირეულ კოლექტივებში გამართულმა შეჯიბრებებმა და რაიონულ პირველობათა ახალი სისტემით ჩატარებამ საშუალება მოგვცა შეგვექმნა საორიენტაციო ნაკრები გუნდები სპორტის ზოგიერთ სახეობაში, თუმცა მათი საბოლოო დაკომპლექტება მოხდება სარაიონო სპარტაკიადის შემდეგ, რომელიც წინ უსწრებს ზონალურს სამი კვირით. ეს პერიოდი საკმარისად მიგვაჩნია ნაკრები გუნდების ერთობლივი წვრთნისათვის.

მიმდინარე წელს გამართულმა სარაიონო შეჯიბრებებმა, რომელთა ძირითადი დევიზი იყო მზადება ზონალური სპარტაკიადისათვის, მრავალი ნიჭიერი სპორტსმენი გამოავლინა ტანვარჯიშში, ჭიდაობაში, ძალოსნობაში, მძლეოსნობაში, განსაკუთრებით ისახელეს თავი მასწავლებლების რ. ოთარაშვილისა და ბ. სიანაიძის აღსაზრდელებმა.

სპარტაკიადისათვის მზადების საქმეში ჯერ კიდევ ბევრი რამ გვიშლის ხელს. საყვედურის ღირსი რაიკავშირი, რომელიც სათანადოდ ვერ ამარაგებს რაიონს სპორტინვენტარით, რის გამოც ფიზკულტურულ კოლექტივებს რაიონის ფარგლებს გარედან უხდებათ მისი შემოზიდვა. ძნელი საშოვარი გახდა ორძელი, დვირი, ლეიბები, სასტარტე ყალიბები, დამბაჩა და სხვ.

არსებული ბაზების შეკეთებაში სუსტად გვეხმარება აგრეთვე ქალაქის საბჭოს კომუნალური განყოფილება, რომელსაც მეტი მუშაობა მართებს, რათა რაიონის სპორტსმენებს დროზე მივცეთ სათანადოდ გარემონტებული ბაზები, შევუქმნათ წვრთნის ნორმალური პირობები.

ს. ხუროძე,
ფიზკულტურისა და სპორტის დუშეთის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

სურათზე: მეცადინეობენ რაიონის ნაკრები გუნდის წევრები. ძარჯვნივ—მწვრთნელი ბ. სიანაიძე.

სურათზე: როსტოვისა და ოდესის არმიელთა მატჩის ერთი მომენტი.

(დასასრული)

გუშინ შედგა ტურნირის ორი მატჩი და ყოველ მათგანს თავისებური ინტერესი ჰქონდა მაყურებელთათვის. ბოლო ადგილზე გაავლა, რა თქმა უნდა, არც ერთ გუნდს არ უნდა, ამიტომ ლკოვისა და ხაბაროვსკის გუნდების შეხვედრას წმეტად დაძაბული ხასიათი ჰქონდა.

ანგარიში ლკოველთა მარცხენა შუამარბმა კესლერმა გახსნა, მაგრამ ტაიმის დასასრულს ხაბაროვსკის გუნდის ნახევარმცველმა სემიონოვმა შორი მანძილიდან გაგზავნა ბიდეში საპასუხო ბურთი. მატჩის ბოლო წუთამდე ანგარიშში ცვლილება არ მომხდარა და იხოლოდ მსაჯის საფინალო სასტვენამდე სულ მცირე ხნით ადრე მელკოვმა თავით საკუთარ კარში გაიტანა ბურთი, რითაც ხაბაროვსკის გუნდს მოუტანა ბოლო ადგილი — 1:2.

სვერდლოვსკისა და სევასტოპოლის გუნდების შეხვედრას უნდა გადაწყვიტა, გადავიდოდნენ როსტოვის არმიელები „ა“ კლასში კონკურენტის გარეშე, თუ სვერდლოვსკელები შეინარჩუნებდნენ პირველობისათვის ბრძოლის შანსებს.

შეხვედრის ბედი ფაქტიურად ჯერ კიდევ დასაწყისში გადაწყდა, როცა სვერდლოვსკელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ბროვკინმა შესანიშნავი დარტყმით ორი გოლი გაიტანა მოპირდაპირე კარში. სევასტოპოლის ფეხბურთელთა ყოველი კონტრშეტევა შუა მინდორშივე იმსხვრეოდა მოწინააღმდეგე მცველებთან ბრძოლაში. შესვენების შემდეგ კონცევომა (№3) და ნეველოვმა (№ 11) კიდევ თითო ბურთი გაიტანეს და მატჩი დამთავრდა სვერდლოვსკის სკვო-ს გამარჯვებით — 4:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 ნოემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
როსტოვი	4	4	0	0	9:3	8
სვერდლოვსკი	4	3	1	0	13:5	7
სევასტოპოლი	5	2	1	2	9:8	5
ოდესა	5	1	1	3	9:11	3
ლვოვი	5	1	1	3	8:13	3
ხაბაროვსკი	5	1	0	4	6:14	2

ვინ გადავა „ა“ კლასში

გათამაშებაში დარჩა ერთი მატჩი, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, თუ ვინ გადავა „ა“ კლასში. ითამაშებენ სკვო (როსტოვი)-სკვო (სვერდლოვსკი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგანგაშო სიგნალები

მოკრივეთა სამატჩო შეხვედრა — საქართველო-უზბეკეთი

უკანასკნელ წლებში შესამჩნევი პროგრესი ეტყობათ შუა აზიის მოკრივეებს, კერძოდ უზბეკებს. წლევანდელ სეზონში მათ გამარჯვება მოიპოვეს მთელ რიგ სამატჩო შეხვედრებში. განსაკუთრებით საპატიოა მათთვის ფრე აზერბაიჯანის ძლიერ გუნდთან, რომელსაც უზბეკეთის კოლექტივმა ამ მცირე ხნის წინ მიაღწია. სწორედ ამიტომ, გუშინწინდელმა მატჩმა თბილისელ კრივის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. სამწუხაროდ, მრავალრიცხოვან მაყურებელთა მოლოდინი ოდნავადაც არ გამართლდა. მაღალტექნიკური სპორტული კრივის ნაცვლად მათ იხილეს ზოგ შემთხვევაში უსუსური, უგეგმო, „ქუჩური“ ჩხუბი, ზოგ შემთხვევაში დაუსრულებელი ძიძგილაობა, რომელსაც ცოტა რამ აქვს საერთო ნამდვილ კრივთან.

მივდიოთ ფაქტებს უფრო კონკრეტულად. ვინაიდან საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა ცხრა მთას იქით აღარაა და კრივს სპარტაკიადის პროგრამაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია, ჩვენ, ბუნებრივია, პირველ რიგში გვაინტერესებს საქართველოს გუნდის მდგომარეობა. უკანასკნელ ხანებში საქართველოს მოკრივეთა ნაკრები სისტემატურ განახლებას განიცდის. ეს არ არის ცუდი. როცა მწვრთნელებს აქვთ შემადგენლობის შეცვლის შესაძლებლობა, ეს იმას ნიშნავს, რომ ნაკრები გუნდის უკან დგას მრავალრიცხოვანი რეზერვი. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რეფორმები გუნდის დადგენაში მჭიდრო კავშირში უნდა იყოს მის ხარისხობრივ მაჩვენებლებთან.

უკანასკნელ წლებში ჩვენს გუნდში მძიმე წონის მოკრივის ფუნქციებს კ. ბაბახანიდი ასრულებდა. ასე იყო თუ ისე, იგი დამაკმაყოფილებლად ართმევდა თავს თავის მოვალეობას. ჩვენ არ ვიცით რა მიზეზით მოხდა ბაბახანიდის „გადადგომა“. ეს მწვრთნელების საქმეა. მაგრამ მისი ადგილი რომ აშკარად შე ფერებელმა კანდიდატმა დაიკავა — ცხადია. პირადად ი. ცვეტკოვის წინააღმდეგ ჩვენ არაფერი გვაქვს. ქვეყნად ბევრია საშუალოზე დაბალი ხარისხის მოკრივე, რი.ჭელიც არავის გულისწყრომას არ იწვევს. მაგრამ ცვეტკოვისათვის როლი საქართველოს ნაკრებ გუნდში, ყოვლად შეუფერებელია. შეიძლება მას რაიმე მოსავალი აქვს (რაშიც ეჭვი გვეპარება), შეიძლება იგი პოტენციურად რაიმე შესაძლებლობებს მოიცავს, მაგრამ დღეს რომ საქართველოს ნაკრებში იგი პირველ ნომრად დგას, ეს ჩვენ, მწვრთნელების სირცხვილია.

ვინ იყო ცვეტკოვის მოწინააღმდეგე უზბეკეთის გუნდში? საშუალოზე დაბალი კლასის მოკრივე ბარანოვი. მიუხედავად ამისა, ცვეტკოვმა „მოახერხა“ პირველი რაუნდის პირველივე წუთზე დანებება. მსაჯმა შეწყვიტა ბრძოლა ბარანოვის აშკარა უპირატესობის გამო. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ცვეტკოვი უეჭველად ნოკაუტს მიიღებდა.

ერთი წლის წინ ჩვენი სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ ახალგაზრდა ფოთელ მოკრივეს ნ. ამაშუკელს. გავიდა წელი და ამაშუკელი მთლიანად გაქრა სპორტული ასპარეზიდან. სად არის იგი? რატომ არ იდგა ამაშუკელი (თუ იგი მართლაც კარგი მომავლის მქონე მოკრივეა) ნაკრები გუნდის შემადგენლობაში? გასაკვირია.

ერთი მატჩით გუნდის პერსპექტივებზე ლაპარაკი ძნელია, მაგრამ მას შეუძლია გარკვეული სიგნალის მოცემა. უზბეკეთთან შეხვედრამ ეს სიგნალი მოგვცა. საჭიროა მეტი ჩაფიქრება, მეტი მუშაობა, რათა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე ღირსეულად დავიცვათ რესპუბლიკის სპორტული დიდება.

რამდენიმე სიტყვით გვინდა შევეხოთ მსაჯობას. თქმა არ უნდა, რომ კრივის მსაჯობა სპეციფიკურია და ამასთან საკმაოდ რთულიც. მსაჯს ამათუიმ დარტყმის, ან მთლიანად ბრძოლის შეფასებაში ვერ შეეკამათებით, რადგან ისინი ყოველ მოძრაობას, ყოველ ქულას ანიშნავენ, იწერენ, არჩევენ. მაგრამ ხშირად მაყურებელიც კი ამჩნევს მსაჯის გადაწყვეტილების არასათანადო სიმტკიცეს, მსაჯის ორჭოფობას და, რაც მთავარია, ლიბერალობას. დიახ, ლიბერალობაა ჩვენი მსაჯების მთავარი და განუკურნელი სენი. ჩვენი მსაჯები ხშირად გაურბიან გადამჭრელ ზომებს და წესების დარღვევის შემთხვევაში დაუსრულებელ გაფრთხილებებს არჩევენ, რასაც მოკრივისათვის პირველ რიგში ზიანი მოაქვს. თუ წესის დამრღვევი სპორტსმენი დროზე მოიხსნება, იგი შეეცდება მეორედ არ გაიმეოროს შეცდომა, ხოლო თუ ამ დარღვევას ყურადღება არ მიექცა, იგი მას კვლავ გაიმეორებს. აი, მაგალითად, სანამ რ. აკოფოვს მოწინააღმდეგემ თავური დარტყმით კოპი არ ამოუყვანა სახეზე, მსაჯმა არაფერი თქვა, თუმცა უზბეკი სტელმახი მთელი ბრძოლის მანძილზე თავს არასწორად ამოძრავებდა. კიდევ კარგი, რომ უკანასკნელი „თავური“ შედარებით უვნებელი გამოდგა. ხომ შეიძლებოდა იგი მარცხიანი გამომდგარიყო და აკოფოვს შეეწყვიტა ბრძოლა.

ახლა თვით შეხვედრის ირგვლივ. 10 წონითი კატეგორიიდან ამ დღეს მხოლოდ 3 ბრძოლა იყო დამაკმაყოფილებელი: ი. აკმურზინის, ნ. ქიქავასი და რ. აკოფოვისა. პირველმა ორმა მოკრივემ შედარებით მოკლე პერიოდში საგრძნობლად აიმაღლა ოსტატობა, ხოლო აკოფოვს უკვე კარგად იცნობენ მოკრივეთა წრეებში. დანარჩენები ან ჯერ არ არიან შესული სპორტულ ფორმაში (ეს პირველ რიგში ი. მელაძეზე ითქმის) ან უბრალოდ სუსტნი არიან.

გუშინწინდელი სამატჩო შეხვედრის უურადღების ცენტრში ი. ბუდმანისა (უზბეკეთი) და ზ. კოზაევის ბრძოლა იყო. ბუდმანი საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრია, მას დიდი პერსპექტივის მქონე სპორტსმენად თვლიან. მართლაც, ბუდმანს აქვს უაღრესად ძლიერი დარტყმა, რომელიც უმეტესად ნოკაუტით ან ნოკდაუნით მთავრდება. ტაქტიკა, რომელიც თბილისელმა მოკრივემ აირჩია, შეიძლება მის ნაკლადაც ჩაითვალოს და პლიუსადაც. ნაკლად იმდენად, რამდენადაც აქ არაფერი იყო სპორტული, ხოლო პლიუსად იმდენად, რამდენადაც იგი ცდილობდა ბუდმანის წონასწორობიგან გამოყვანას, რათა საკუთარი თავი გადაერჩინა. ბუდმანმა ვერ მონახა სწორი გადაწყვეტა, აჰყვა კოზაევს ტემპში და მეორე რაუნდის ბოლოს კინაღამ უარი თქვა ბრძოლის გაგრძელებაზე გონგს რომ არ ეხსნა იგი. არსად არ არის სპორტული ენინ ისე საჭირო, როგორც კრივში, სპორტული ენინ კი კოზაევს საკმარისზე მეტი აქვს. საქმეა ამ ენინს რეგულირება, რაციონალური გზით წარმართვა, გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა. სხვაგვარად კოზაევის სახე, როგორც მებრძოლისა, უპერსპექტივოა. მეტიც. იმ სტილით, რომლითაც მან გუშინწინ იმუშავა, საკავშირო ჩემპიონატში პირველივე რაუნდში მოიხსნებოდა.

სამატჩო შეხვედრის ტექნიკური ანგარიში წონითი კატეგორიების მიხედვით ასეთია: ი. აკმურზინმა დაამარცხა ე. კურმაევი, ნ. ქიქავამ — ტ. გულამოვი, ს. ჩატულიდმ (თბილისი) — შ. შამანსუროვი (ტაშკენტი), ა. მარშნევმა (ტაშკენტი) — გ. ხორნეული, ი. მელაძემ — ნ. ჰუსეინოვი, ი. ბუდმანმა (ტაშკენტი) — ზ. კოზაევი, გ. მუხაძეს მოწინააღმდეგე არ ჰყავდა, რ. აკოფოვმა დაამარცხა ვ. სტელმახი, დ. ჩოგოვაძემ — ბ. გრანატკინი, ა. ბარანოვმა (ტაშკენტი) ი. ცვეტკოვი. გუნდური შეხვედრის ანგარიშია 7:3 საქართველოს მოკრივეთა სასარგებლოდ.

ნ. გუგუშვილი

უძლიერესის სახელისათვის

ფრენბურთელთა რესპუბლიკური პირველობის უკანასკნელ ტურში წყდებოდა ჩემპიონობის ბედი. ამ დღეს თამაშობდნენ პირველობის პრეტენდენტები — პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის ქალთა, აგრეთვე ფიზკულტურისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების ვაჟთა გუნდები. მართალია, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვაჟთა გუნდს ერთი წაგებით უკვე დამთავრებული ჰქონდა შეჯიბრება, მაგრამ უკანასკნელი შეხვედრის შედეგზე ბევრად იყო დამოკიდებული, თუ ვინ აიღებდა პირველ ადგილს. თუ ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივი გაიმარჯვებდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდთან, იგი ხდებოდა ჩემპიონი, ხოლო სოფლის მეურნეობის მომავალ სპეციალისტებს კი პირველი ადგილის მოსაპოვებლად მხოლოდ მშრალი ანგარიშით გამარჯვება ესაჭიროებოდათ. სწორედ ამან განაპირობა დიდი ინტერესი ბოლო მატჩისადმი. პირველი პარტია ფიზკულტურისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების ვაჟთა გუნდებს შორის დამთავრდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდის გამარჯვებით, ხოლო მეორე პარტიაში ისინი დამარცხდნენ და ანგარიშიც გათანაბრდა. ამის შემდეგ მომავალ აგრონომთა გუნდის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. მიუხედავად ამისა, ისინი დარჩენილ პარტიებში კვლავ თავგამოდებით იბრძოდნენ და ხუთ პარტიაში შეძლეს მოწინააღმდეგის დამარცხება ანგარიშით 3:2. ამრიგად, პირველ ადგილზე გამოვიდნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენები. ფიზკულტურისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების გუნდებმა მოიპოვეს მომდევნო ადგილები.

სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდების შეხვედრამ მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. დასაწყისიდანვე ინიციატივა ხელთ იგდეს უნივერსიტეტელებმა, მაგრამ შემდეგ თანდათან წინ წავიდნენ მომავალი ინჟინრები, რომლებმაც გაიმარჯვეს კიდეც — 15:10.

მაგრამ დამარცხების შემდეგ უნივერსიტეტის სპორტსმენებმა შეძლეს მთელი ძალების მობილიზება და მეორე პარტია სულ მოკლე ხანში დაამთავრეს თავიანთ სასარგებლოდ — 15:5. ც. აბუაშვილის, გ. ჯალალიანის და ე. ვაშაკიძის ენერგიული თამაშით ისინი კვლავ წინ იყვნენ მესამე პარტიაშიც — 15.10. როცა მეოთხე პარტიაში ანგარიში (8:4) მიჰყავდა უნივერსიტეტის კოლექტივს, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ამ პარტიის დამთავრებით გადაწყდებოდა ჩემპიონობის ბედი, მაგრამ პროგნოზები არ გამართლდა. პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფრენბურთელები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ა. ვენდტი, ნ. ხავთასი, ნ. შეწირული და ვ. ტონკონოგოვა, მთელი თავიანთი შესაძლებლობით ამოქმედდნენ. მომავალი ინჟინრები ჯერ წამოვწიენ მოწინააღმდეგეებს, ხოლო შემდეგ წინ გავიდნენ და მოიგეს მეოთხე პარტია — 15:12. მატჩის ანგარიში გათანაბრდა — 2:2. მეხუთე პარტიაში გამარჯვება უნივერსიტეტის გუნდს დარჩა და ჩემპიონობაც მათ მიენიჭათ.

აღსანიშნავია, რომ განვლილი ჩემპიონატი წინა წლებთან შედარებით გაცილებით უკეთესად და საინტერესოდ ჩატარდა. შესამჩნევი იყო მოთამაშეთა ტექნიკური და ტაქტიკური ზრდა, მათი კარგი ფიზიკური მომზადება.

ლ. თუზიშვილი

საქართველოს პირველობა

ჩატარდა მორიგი მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

რუსთავის „მეტალურგმა“ თავის მინდორზე მიიღო ბათუმის „დინამო“. მასპინძლებმა დიდი მონდომებით ჩაატარეს თამაში და მიაღწიეს კიდეც გამარჯვებას ანგარიშით 2:1.

დიდი ინტერესი გამოიწვია მატჩმა სოხუმში ადგილობრივ „დინამოსა“ და თბილისის ტრამვაიტროლეიბუსის სამმართველოს გუნდებს შორის. ერთადერთმა ბურთმა გამარჯვება მოუტანა თბილისელებს.

ქუთაისში თამაშობდნენ ადგილობრივი გუნდები „დინამო“ და „ტორპედო“. უპირატესობა მთელი თამაშის განმავლობაში დინამოელთა მხარეს იყო, რომლებმაც გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0. ქუთაისის „დინამომ“ მეორე გამარჯვება მოიპოვა მატჩში ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდთან იმავე ანგარიშით.

დიდ წარმატებას მიაღწია ჭიათურის „მაღაროელმა“ თავის მინდორზე ქუთაისის „ტორპედოსთან“. პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა. შესვენების შემდეგ ჭიათურელები მოწინააღმდეგეზე გაცილებით უკეთესად თამაშობდნენ, რასაც ნათლად მოწმობს ანგარიში 7:0 მათს სასარგებლოდ.

XI-XX ადგილებისათვის მებრძოლი გუნდების შეხვედრათა შედეგები ასეთია: 26 კომ. სახ. რ-ნი (თბილისი)-„განთიადი“ (გორი) — 3:2, „სპარტაკი“ (სტალინირი)-„ოდიში“ (ზუგდიდი)—4:2, „კოლმეურნე“ (ქობულეთი)-„სპარტაკი“ (თელავი) — 2:0.



ალბანეთში

საუბარი საქართველოს სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელთან ამხ. ი. ბოჭორიძესთან

ამ დღეებში ალბანეთიდან თბილისში დაბრუნდა „ბურევესტნიკის“ (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის) კალათბურთელ ქალთა გუნდი, რომელმაც ორ კვირამდე დაჰყო ალბანეთის ქალაქებში: ტირანაში, კორჩაში, შკოდერში, დურესში. საქართველოს გუნდი ალბანეთში მიწვეული იყო ერთობლივი ვარჯიშებისა და რამდენიმე ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად. იმის შესახებ, თუ როგორ მიიღეს სტუმრები საქართველოდან და როგორი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენს სპორტსმენებზე სოციალისტურმა ალბანეთმა, გვიამბო დელეგაციის ხელმძღვანელმა, ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ი. ბოჭორიძემ.

— პირველი და მთავარი შთაბეჭდილება, რომელიც დიდხანს დარჩება დელეგაციის ყოველი წევრის მეხსიერებაში, იყო ის უშუალობა და უბრალოება, რომლითაც დაგვატყვევეს მასპინძლებმა. როგორი გულთბილიც არ უნდა იყოს მიღება უცხოეთში, ყოველთვის გრძნობ, რომ მოშორებული ხარ შენს სახლს, ახლობლებს, ნათესავებს. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს გრძნობა გაგვიქრა მაშინვე, როგორც კი ფეხი შევდგით ამ სტუმართმოყვარე ქვეყნის მიწაზე.

აეროდრომზე უამრავი ხალხი დაგვხვდა და ხალხზე უფრო მეტი ცოცხალი ყვავილების თაიგულები. ყველასათვის მოულოდნელად დამხვდურთა შორის რამდენიმე ჩვენს ენაზე მოგვესალმა. მართალი გითხრათ, გაგვიკვირდა. ქართველებს გვანან, ქართულად ლაპარაკობენ, ბიჭოს, ქართველები ხომ არ არიან?

ალბათ ყველას სახეზე ასეთი კითხვა გვეხატებოდა, როცა ერთ-ერთმა მათგანმა მხიარული ღიმილით დაგვასწრო — ჩვენც საქართველოდან ვართ და ამჟამად სამსახურებრივ მივლინებაში ვიმყოფებითო. სიხარული ორსავე მხარეს აუწერელი იყო. სხვათა შორის, უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩვენმა ჩასვლამ ალბანეთში, მათ შრომისნაყოფიერებაზე „უარყოფითად“ იმოქმედა. სულ ერთად ვიყავით, ერთ ნაბიჯზე არ გვცილდებოდნენ, გვიხსნიდნენ, გვიყვებოდნენ, რისთვისაც ჩვენ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

თვით შეხვედრების შესახებ თქვენ უკვე იცით პრესის საშუალებით. ალბანეთში 4 შეხვედრა ჩავატარეთ და ოთხივე ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა. ტირანაში დავამარცხეთ ადგილობრივი ნაკრები — 59:36, კორჩაში— აქაური გუნდი — 78:27, შემდეგ ისევ ტირანაში ვითამაშეთ უკვე გაძლიერებულ ნაკრებთან (71:32) და ბოლოს მოვუგეთ შკოდერში ადგილობრივ გუნდს — 73:33. სპორტული თვალსაზრისით ეს შეხვედრები ჩვენი კალათბურთელებისათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, მაგრამ გამარჯვება კი არ იყო ჩვენი მისიის აზრი ალბანეთში, არამედ მეგობრული, ამხანაგური დახმარების გაწევა და ერთობლივი ვარჯიშების ჩატარება იქაურ სპორტსმენებთან.

გუნდის მეორე მწვრთნელმა გ. ბაბახანიდმა ერთ დღეს მოაწყო საჩვენებელი გაკვეთილი დამწყებ კალათბურთელებთან, რამაც ადგილობრივ სპეციალისტებზე დიდი გავლენა მოახდინა. სამშობლოში დაბრუნების წინა დღეს სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ლ. ძეკონსკიმ გაუზიარა თავისი გამოცდილება ალბანელ კოლეგებს წვრთნისა და მსაჯობის მეთოდიკაში. მეც ჩემი მხრივ ვესაუბრე ალბანეთის ფიზკულტურის კომიტეტის მუშაკებს, ვუამბე ჩვენი კომიტეტის ორგანიზაციის, სტრუქტურისა და მუშაობის შესახებ.

თავისუფალ დროს (ასეთი დრო ჩვენ ხშირად გვქონდა) ვანდომებდით ალბანელი ხალხის კულტურის ძეგლების, ისტორიულ ღირსშესანიშნაობათა შესწავლა-დათვალიერებას. ჩვენი ტურისტული პროგრამის ქვაკუთხედს, რა თქმა უნდა, ტირანა წარმოადგენდა — ალბანეთის დედაქალაქი, მთავარი სამრეწველო და კულტურული ცენტრი. ტირანა ლამაზი, მწვანეში ჩაფლული ქალაქია. იგი ძირითადად სამრეწველო ხაზით ვითარდება. თითქმის ყოველ ქუჩაზე წააწყდებით რაიმე მშენებლობას.

ვნახეთ ალბანეთის ეროვნული გმირის, სახელგანთქმული სკანდერბეგის მშობლიური ქალაქი — შკოდერი. სკანდერბეგი ალბანელთა შორის განუზომელი პოპულარობით სარგებლობს, ქუჩებში ხშირად შეხვდებით მის ვეებერთელა სურათებს, სკულპტურებს. ალბანელებმა კარგად იციან, რომ მათი ეროვნული სიამაყე ეკრანზე ქართველმა მსახიობმა აკაკი ხორავამ განასახიერა, ამიტომ ჩვენ განსაკუთრებით თბილად, ნათესაურად გვექცეოდნენ.

ზღვისპირა საკურორტო ქალაქ დურესში ნაცნობს წავაწყდით. რამდენიმე წლის წინ ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურში საწარმოო პრაქტიკას გადიოდა ერთი ალბანელი ახალგაზრდა. იგი ამავე დროს კალათბურთის მსაჯიც იყო (სხვათაშორის მან თბილისში მიიღო სამსაჯო კატეგორია) და ხშირად სჯიდა ხოლმე თამაშებს კიროვის სახელობის პარკში. სტავრიმ (ასე ეძახდნენ მას თბილისში) დაასრულა პრაქტიკა და წავიდა თავის სამშობლოში. და აი სწორედ დურესში შევხვდით მას. უნდა გენახათ მისი სიხარული, როდესაც ძველი ნაცნობები ყველანი ერთად თავის სამშობლოში იხილა. ამის შემდეგ სტავრი გახდა ჩვენი მთავარი მეგზური და იგი წამოსვლის დღემდე არ მოგვშორებია.

დადგა ჩვენი სამშობლოში დაბრუნების დრო. მხურვალე მადლობა გადავუხადეთ სტუმართმოყვარე ალბანელებს და ვუსურვეთ მათ წარმატებები იმ პატიოსან, შემოქმედებით შრომაში, რამაც მათ ბედნიერება მოუტანა.

ს უ რ ა თ ზ ე: ქართველი კალათბურთელები ტირანაში. ქვევით — შეხვედრის მომენტი.

ვეტერანის წარმატება

ნ. სოროკინის სახელი კარგადაა ცნობილი ჩვენი რესპუბლიკის ჭადრაკის მოყვარულთათვის. 30 წელზე მეტია, რაც ნ. სოროკინი ემსახურება საქართველოში საჭადრაკო ხელოვნების დანერგვის საქმეს. მრავალჯერ ჩაუტარებია მას ერთდროული თამაშის სეანსები ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, სოხუმში, ჭიათურასა და სხვა ქალაქებში.

ნ. სოროკინს ახალგაზრდობაში ახლო ურთიერთობა ჰქონდა ა. ალიოხინთან და რუსულ საჭადრაკო სკოლასთან. 1926 წლიდან ნ. სოროკინი მოღვაწეობს საქართველოში, სადაც კიევიდან ჩამოვიდა. არ ყოფილა ჩვენში არც ერთი დიდი თუ პატარა შეჯიბრება, რომელშიც ნ. სოროკინს არ მიეღოს მონაწილეობა. იგი მხარში ედგა ქართული ჭადრაკის მესვეურებს გ. ჩიკვაიძეს, პოეტ პ. იაშვილს, ვ. გოგლიძეს, პეტრაკოვსკის, ა. სმოროდსკის და სხვებს. ნ. სოროკინი სამჯერ იყო საქართველოსი და რამდენიმეჯერ თბილისის ჩემპიონი.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, (იგი 58 წლისაა) ნ. სოროკინი ახლაც ახალგაზრდული შეუპოვრობით იბრძვის საჭადრაკო დაფასთან. ახლახან მას აუსრულდა სანუკვარი ოცნება. მატჩში ოსტატ ს. ფრიდშტეინთან სპორტის ოსტატის სახელზე. სოროკინმა მიაღწია საჭიმო შედეგს (7:7) და მოიპოვა სპორტის ოსტატის წოდება.

თ. გიორგაძე

რედაქტორი ი. უგულავა.

„ბურევესტნიკის“ სტადიონი, 23 ნოემბერი

თბილისის „ბურევესტნიკისა“ და მოსკოვის ვეტერანთა გუნდების მატჩი ფეხბურთში.

დასაწყისი 14 საათზე.

კანადელი ჰოკეისტები მოსკოვში

კანადაში — თანამედროვე ჰოკეის სამშობლოში, კარგა ხანია დაიწყო სპორტული სეზონი ჰოკეიში. ამ ქვეყნის ყინულის ღია თუ დახურულ მოედნებზე ერთ თვეზე მეტია ერთმანეთს ეჯიბრებიან პროფესიონალთა 20 და მოყვარულთა 40 გუნდები. კანადელ ჰოკეის გულშემატკივართა განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს ოკანაგანის (ბრიტანეთის კოლუმბია) ლიგის ჩემპიონატში გამარჯვებული „კელოვნა პეკერსი“, რომელიც ერთ-ერთი უძლიერესია კანადის მოყვარულთა გუნდებს შორის.

და აი „კელოვნა პეკერსი“ — „ჰოკეის პროფესორები“, როგორც მას მსოფლიოს სპორტული პრესა უწოდებს, საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად გამოემგზავრა ევროპაში. კანადელმა სპორტსმენებმა პირველი შეხვედრა გამართეს შვეციაში და განიცადეს დამარცხება ანგარიშით 2:5. განმეორებითი შეხვედრა მოიგეს სტუმრებმა — 5:2.

ამის შემდეგ „კელოვნა პეკერსი“ სტუმრად ჩამოვიდა მოსკოვში, სადაც პირველი მატჩი გამართა ცსკმო-ს ჰოკეისტებთან. გამარჯვება საბჭოთა ჰოკეისტებს (4:3) დარჩათ.

18 ნოემბერს „კელოვნა პეკერსი“ შეხვდა მოსკოვის „კრილია სოვეტოვის“ ჰოკეისტებს.

მატჩი ქუთაისში

მოსკოვის ვეტერანი ფეხბურთელები ეწვივნენ ქუთაისს, სადაც 18 ნოემბერს ითამაშეს ადგილობრივ „დინამოსა“ და „ტორპედოს“ მოთამაშეთაგან შემდგარ გუნდთან.

მატჩი მოიგეს მოსკოველებმა ანგარიშით 2:1.

გასწორება

18 ნოემბრის ნომერში მოთავსებული ინფორმაციის „საიუბილეო პლენუმის“ პირველი აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე: „გუშინ რკინიგზელთა მხატვრული აღზრდის სახლში შედგა ფეხბურთის რესპუბლიკური სექციის საიუბილეო პლენუმი მიძღვნილი სამამულო ფეხბურთის 60 და საქართველოს მსაჯთა კოლეგიის 35 წლისთავისადმი“. შემდეგ როგორც ტექსტშია.

სამამულო ფეხბურთის 60 და საქართველოს მსაჯთა კოლეგიის 35 წლისთავისადმი მიძღვნილი

ღონისძიება

ფეხბურთი

„დინამოს“ სტადიონი, 20 ნოემბერი

„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (ქუთაისი)

დასაწყისი 15 ს. 30 წ.

დანარჩენი მატჩების კალენდარი: 25 ნოემბერი, „ბურევესტნიკი“ (თბილისი)-1958 წლის საქართველოს ჩემპიონი. დასაწყისი 15 ს. 30 წ. 27 ნოემბერი. აჭარის ნაკრები-სკვო (თბილისი), დასაწყისი 13 ს. 30 წ. აფხაზეთის ნაკრები-საქართველოს 1958 წლის ჩემპიონი, დასაწყისი 15 ს. 30 წ. 29 ნოემბერი. „ლოკომოტივი“ (ქუთაისი)-აფხაზეთის ნაკრები. დასაწყისი 15 ს. 30 წ. 30 ნოემბერი. „დინამო“ (თბილისი)-აჭარის ნაკრები. დასაწყისი 14 ს. 1 დეკემბერი. „ბურევესტნიკი“ (თბილისი)-აფხაზეთის ნაკრები, დასაწყისი 15 ს. 30 წ. 2 დეკემბერი. „ლოკომოტივი“ (ქუთაისი)-საქართველოს 1958 წლის ჩემპიონი, დასაწყისი 15 ს. 30 წ.

20—25 ნოემბერი

საქართველოს 1958 წლის პირველობა კალათბურთში

მატჩები ჩატარდება ვ. ი. ლენინის სახელობის დარბაზში

დასაწყისი 12 ს.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“

ტელეფონები: რედაქტორის—3-89-62, მდივნისა და განყოფილებების — 3-90 34.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 07235